ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი №04, 30.04.2019წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესი

I. ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესი

ადმინისტრაციული პერსონალი თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის წესით. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში, უნივერსიტეტის თანამშრომლების პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, თავდაპირველად კანდიდატების შერჩევა ხდება უნივერსიტეტში არსებული ადამიანური რესურსების (აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი) ფარგლებში, ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა მსურველთათვის.

კანდიდატთა შერჩევა ხდება ორ ეტაპად:

1.ეტაპი - დოკუმენტაციის წარდგენა.

2. ეტაპი - გასაუბრება სამსახურის განვითარების კონცეფციის თაობაზე.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება კომისიის სახელზე.
2. ავტობიოგრაფია CV.
3. პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი.
4. უმაღლესი განათლებისა და ხარისხის (საჭიროების შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
5. სამეცნიერო შრომების სია (საჭიროების შემთხვევაში).
6. ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ან შიდა ტესტირების შედეგი (საჭიროების შემთხვევაში)
7. სამოტივაციო წერილი.
8. სამსახურის განვითარების კონცეფცია (წარმოდგენილი მაქსიმუმ 180 სიტყვით)

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- დისციპლინა
- გუნდური მუშაობის უნარი
- ორგანიზებულობა

კანდიდატთა შესარჩევად იქმნება კომისია სამი წევრის შემადგენლობით, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

1.კომისიის წევრს აქვს უფლება თითო კრიტერიუმში კანდიდატს მიანიჭოს 1 ქულა.

2.კანდიდატები ფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- სამუშაო გამოცდილება

- სამსახურის განვითარების კონცეფცია
- სამოტივაციო წერილი
- გასაუბრება

შერჩევა მოხდება კრიტერიუმების მიხედვით დაგროვებული ქულების შესაბამისად. მაქსიმალური ქულა 12, გამსვლელი ქულა მინიმუმ 10.

თანამდებობაზე დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის ხარჯზე ვერ მოხდება შესაბამისი კანდიდატურის შერჩევა, უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურს. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდება ვებგვერდზე www.jobs.ge და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

1.ეტაპი - დოკუმენტაციის წარდგენა.

2. ეტაპი - გასაუბრება სამსახურის განვითარების კონცეფციის თაობაზე.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება კომისიის სახელზე.
2. ავტობიოგრაფია CV.
3. პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი.
4. უმაღლესი განათლებისა და ხარისხის (საჭიროების შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
5. სამეცნიერო შრომების სია (საჭიროების შემთხვევაში).
6. ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ან შიდა ტესტირების შედეგი (საჭიროების შემთხვევაში)
7. სამოტივაციო წერილი.
8. სამსახურის განვითარების კონცეფცია (წარმოდგენილი მაქსიმუმ 180 სიტყვით)

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- დისციპლინა
- გუნდური მუშაობის უნარი
- ორგანიზებულობა

კონკურსანტთა შესარჩევად იქმნება კომისია სამი წევრის შემადგენლობით, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

1. კომისიის წევრს აქვს უფლება თითო კრიტერიუმში კონკურსანტს მიანიჭოს 1 ქულა.
2. კონკურსანტები ფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:
   - სამუშაო გამოცდილება
   - სამსახურის განვითარების კონცეფცია
   - სამოტივაციო წერილი
   - გასაუბრება

შერჩევა მოხდება კრიტერიუმების მიხედვით დაგროვებული ქულების შესაბამისად. მაქსიმალური ქულა 12, გამსვლელი ქულა მინიმუმ 10.

თანამდებობაზე დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე.

II. დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესი

დამხმარე პერსონალი თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის წესით, პოზიციის შესაბამისი რელევანტური კვალიფიკაციისა (სამუშაო გამოცდილება, განათლება) და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

ვაკანტური ადგილის შემთხვევაში ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე www.jobs.ge და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კანდიდატთა შესარჩევად იქმნება საკონკურსო კომისია სამი წევრის შემადგენლობით, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

კომისიის წევრს აქვს უფლება თითო კრიტერიუმში კანდიდატს მიანიჭოს 1 ქულა.
კანდიდატები ფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- სამუშაო გამოცდილება
- სამოტივაციო წერილი
- გასაუბრება

შერჩევა მოხდება კრიტერიუმების მიხედვით დაგროვებული ქულების შესაბამისად. მაქსიმალური ქულა 9, გამსვლელი ქულა მინიმუმ 7.

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- დისციპლინა
- გუნდური მუშაობის უნარი
- ორგანიზებულობა

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე.
- ავტობიოგრაფია CV.
- პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი.
- უმაღლესი განათლებისა და ხარისხის (საჭიროების შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
- ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ან შიდა ტესტირების შედეგი (საჭიროების შემთხვევაში)
- სამოტივაციო წერილი.

თანამდებობაზე დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე.